ოქმი:**ო63.63212025**
თარიღი:**21/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 16 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 16 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი (ონლაინ ჩართვა), დავით ამაღლობელი, სვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე (ონლაინ ჩართვა), ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ბაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე (ონლაინ ჩართვა), ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, დავით ნიკოლეიშვილი (ონლაინ ჩართვა), ავთანდილ სტურუა, კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი (ონლაინ ჩართვა).

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.

2. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.

3. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე.

4. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, გიორგი ხელისუფალი.

5. ა.(ა).ი.პ. რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტი, იზო ნადირაძე.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთვებიან: ზაზა ადეიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი, ტარიელ თევზაძე, ავთანდილ ტორონჯაძე, დავით ნიკოლეიშვილი და აკაკი მინაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

6. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

7. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: შ.არზუმანიანი/

8. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 9 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ: დ.ამაღლობელი/

9. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 16 ივლისის N*** 62-622119684, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. იზრდება 2021 წლის ბიუჯეტი 20.00 ათ.ლარით. შესაბამისად იზრდება ხარჯები. კერძოდ, ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში მიმდინარე რემონტის ხარჯის თანხა იზრდება 11.00 ათ.ლარით, ტრანსპორტის ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლში ექსპლოატაციის, მოვლა შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 9.00 ათ.ლარით. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, ოფისის მუხლიდან კავშირგაბმულობის ხარჯის თანხა მცირდება 0.50 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯების მუხლის თანხა 2.0 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან, აუდიტორული მომსახურეობის ხარჯის თანხა 0.18 ათ.ლარით, შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლის თანხა იზრდება 2,68 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 16 ივლისის*** N 62-622119723, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. არაფინანსური აქტივები იზრდება 10.0 ათ.ლარით (არსებული მოძრავი სცენის დაზიანებული ზედა ნაწილის ახლით მოსაწყობად) და შესაბამისად მოწესრიგდება 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებით დამტკიცებულ 2021 წლის ბიუჯეტის გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-6221196100, წერილობთი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2021 წლის სუბსიდიით გასაწევი ხარჯების გეგმა იზრდება 17.70 ათ.ლარით. კერძოდ ფოიესა და კიბის უჯრედის სარემონტო სამუშაოებისათვის არაფინანსური აქტივების (არასაცხოვრებელი შენობები) ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 13,70 ათ.ლარით, მიმდინარე ხარჯებისთვის 4.00 ათ.ლარით, მ.შ. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯი 0.30 ათ.ლარით, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების შეძენის ხარჯი 0.40 ათ.ლარით, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენის ხარჯი 0.20 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნების და მასალების შეძენის ხარჯი 0.50 ათ.ლარის, რეცხვის, ქიმწმენდის და

სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 0.30 ათ.ლარით, წყლის ხარჯი 0.70 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის, რომელიც არაა კლასიფიცირებული 0.30 ათ.ლარით, საარქივო მომსახურეობის ხარჯი 0.80 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯი 0.50 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 16 ივლისის*** N 62-622119727, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს 2021 წლის სუბსიდიის ხარჯებში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება მცირდება 3.00 ათ.ლარით, მივლინება ქვეყნის გარეთ 5.00 ათ.ლარით, საკანცელარიო ხარჯი 0.50 ათ.ლარით, სამედიცინო ხარჯი 0.50 ათ.ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი 3.00 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი (იჯარა) ხარჯი 0.70 ათ.ლარით და საწევროს ხარჯი 0.50 ათ.ლარით, შესაბამისად კომპიუტერული პროგრამების განახლების ხარჯი 0.40 ათ.ლარით გაზრდას და კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები 12.80 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს

2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119683, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. რაგბის გუნდი „ფენიქსი“-ს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რაგბის გუნდი ,,ფენიქსი"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 15 ივლისის N*** N 62-622119699, წერილობთი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცლვილება მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამაში. კერძოდ,

1. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდოს 92 000 - ლარით;

კერძოდ გაიზარდოს:

მუხლი 1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება - 50 000 ლარით;

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში ---40 000 ლარით;

მუხლი 15. 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება -2 000 ლარით;

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2021 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 18 დეკემბრის N38 179 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119688, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის საორიენტაციო ზღვრული მოცულობა გაიზარდა 858,6 ათ. ლარით და შეადგენს 10,204.9 ათ. ლარს.

აგრეთვე, შემცირდეს სულ 359.8 ათ. ლარით:

- კოდი 01 02 01 სარეზერვო ფონდის სხვა ხარჯების გეგმა - 184.0 ათ. ლარით;
- თავისუფალი ნაშთი - 93,1 ათ. ლარით.
- კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობის სხვა ხარჯები - 52.0 ათ. ლარით.
- კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა - 13.7 ათ. ლარით.
- კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 17,0 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს სულ 1,218.4 ათ. ლარით:

- კოდი 06 02 04 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 92,0 ათ. ლარით.
- კოდი 03 01 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების სუბსიდიის გეგმა - 20,0 ათ. ლარით;
- კოდი 04 03 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიის გეგმა - 4,0 ათ. ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების გეგმა - 13,7 ათ. ლარით.
- კოდი 04 04 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა - 10,0 ათ. ლარით;
- კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა - 75.0 ათ. ლარით. (ატრაქციონების მოწყობა კომახაურის სტადიონზე, ხდკ-ს ბინის მიმდებარედ, ლაშა თევზაძის ჯვართან, კალანდარიშვილისა და ბამბის სართავის ტერიტორიაზე).
- კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა - 886,7 ათ. ლარით; (კომახაურის გზა - 36,0 ათ. ლარით, საჯავახოს სკოლასთან გზის დაგება - 184,6 ათ. ლარით; რეჭეს უბანში გზის დაგება - 282,6 ათ. ლარით; კომახაურის სტადიონთან მისასვლელი გზა - 297,3 ათ. ლარი; ასევე ლაშა თევზაძის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი ბინების ეზოებში ასფალტო-ბეტონის მოწყობა - 86,2 ათ. ლარით;) ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმა - 17,0 ათ. ლარით,
- კოდი 05 01 02 06 ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ფენიქსი"-ს სუბსიდია - 85,0 ათ. ლარით.
- კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის სხვა ხარჯების გეგმა - 5,0 ათ. ლარით.
- კოდი 05 02 02 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის არაფინანსური აქტივების გეგმა - 10,0 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- შემცირდეს კოდი **05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და**

სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის საქონელი და მომსახურების გეგმა 10,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სხვა ხარჯების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა დადგენილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ამაღლობელმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 9 პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის ***2021 წლის 15 ივლისის*** N 62-622119682, წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 9 პროექტის მოწონების საკითხს.

N	პროექტის დასახელება	სულ (ლარი)	მ.შ თანადაფინ ა ნსება	დაწყება ვადები	დასრულება	(რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
	1	2	3	5	6	7
1	სოფ. საჯავახოს სკოლიდან რკინიგზის გადასასვლელამდე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	184610	0	ივლისი	სექტემბერი	184610
2	სოფ. საჯავახოში ,,რეჭეს უბანის“ მიმართულებით გზასა და ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	170881	0	ივლისი	სექტემბერი	170881
3	სოფ. საჯავახოში ,,რეჭეს უბნის“ ცენტრალურ გზაზე საჯავახო-	111635	0	ივლისი	სექტემბერი	111635

	ჩოხატაურის ავტომაგისტრალამდე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა					
4	ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის N29; ლაშა თევზაძის N2-N4; ლაშა თევზაძის N63 მრავალსართულიანი ბინის ეზოების მოასფალტება	114893	0	ივლისი	სექტემბერი	114893
6	ქ. სამტრედიაში მშვიდობისა და რიონის ქუჩების დამაკავშირებელი ხეივნის ქუჩის და არხის მოწყობის სამუშაოები	297294	0	ივლისი	სექტემბერი	297294
7	ქ. სამტრედიაში დადაიანის ქუჩაზე რაგბის სათამაშო სტადიონის მოწყობა	323901	0	ივლისი	ოქტომბერი	323901
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანირში ცენტრალური გზიდან ღვთისმშობლის ეკლესიამდე მიმავალ გზაზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	72779	0	ივლისი	სექტემბერი	72779
9	ქ, სამტრედიაში, კოსტავას N92; რუსთაველის N4; რესპუბლიკის N8; კაკაბაძის N15; N64;N9; რუსთაველის მე-3 ჩიხი ბინა N1 მრავალსართულიანი ბინების გადახურვა	285730	0	ივლისი	სექტემბერი	285730

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (25 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 9 პროექტის მოწონების შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი